


**მსს ფასს
ფინანსური ანგარიშგება**

შპს “სიფუდ გრუპ თელავი”

31 დეკემბერი 2019



სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება	6
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	7
ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები	8

ანგარიში ფინანსური ანგარიშგების შედგენაზე (კომპილაციაზე)

შპს გრანტ თორნტონ
ქეთევან წამებულის გამზირი 54
0144, თბილისი, საქართველო

ტ. + 995 322 604 406

Grant Thornton LLC
54 Ketevan Tsamebuli Avenue
0144 Tbilisi, Georgia

T + 995 322 604 406

შპს „სიფუდ გრუპ თელავი“-ს ხელმძღვანელობას

თქვენ მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, ჩვენ მოვამზადეთ შპს „სიფუდ გრუპ თელავი“-ს (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგება, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილების ანგარიშგებას და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლისთვის, აგრეთვე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვასა და სხვა განმარტებით შენიშვნებს.

გარიგება ჩავატარეთ დაკავშირებული მომსახურებების საერთაშორისო სტანდარტის 4410 (გადასინჯული), „კომპილაციური გარიგებების“ შესაბამისად.

ჩვენ გამოვიყენეთ ჩვენი ცოდნა და გამოცდილება ბუღალტერიასა და ფინანსურ ანგარიშგებაში რათა დაგხმარებოდით ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოებისათვის სტანდარტის (ფასს მცირე და საშუალო საწარმოებისთვის) შესაბამისად მომზადება-წარდგენაში. გარიგების შესრულებისას დავიცავით შესაბამისი ეთიკური მოთხოვნები, მათ შორის: პატიოსნების, ობიექტურობის, პროფესიული კომპეტენციის და საქმისადმი კეთილსინდისიერი მიდგომის.

წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე მთლიანობაში და მისი მომზადებისას გამოყენებული ინფორმაციის სიზუსტესა და სისრულეზე პასუხისმგებელი ხართ თქვენ.

რადგან ფინანსური ანგარიშგების კომპილაციის გარიგება არ არის მარწმუნებელი გარიგება, ჩვენ არ მოგვეთხოვება თქვენ მიერ ანგარიშგების მოსამზადებლად წარმოდგენილი ინფორმაციის სიზუსტის ან სისრულის გადამოწმება. შესაბამისად, ჩვენ არ გამოვხატავთ აუდიტორულ მოსაზრებას ან მიმოხილვის დასკვნას იმის თაობაზე, არის თუ არა ეს ფინანსური ანგარიშგებები მომზადებული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით.

ვახტანგ ცაბაძე

მმართველი პარტნიორი

29 სექტემბერი 2020 წელი



ლარი	შენიშვნა	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
<i>გრძელვადიანი აქტივები</i>			
ძირითადი საშუალებები	4	444,130	470,755
არამატერიალური აქტივები	5	2,740	3,140
		446,870	473,895
<i>მიმდინარე აქტივები</i>			
სავაჭრო მოთხოვნები	6	147,914	228,660
გადახდილი ავანსები	7	671,775	163,291
საქონელი		694,935	791,661
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე		14,490	15,440
		1,529,114	1,199,052
სულ აქტივები		1,975,984	1,672,947
კაპიტალი და ვალდებულებები			
<i>კაპიტალი და რეზერვი</i>			
საწესდებო აპიტალი		458,000	433,000
აკუმულირებული მოგება		931,826	785,535
		1,389,826	1,218,535
<i>მიმდინარე ვალდებულებები</i>			
მიღებული ავანსები		228,502	-
გადასახადები		54,469	35,213
მოკლევადიანი სესხები	9	300,000	300,000
სავაჭრო ვალდებულებები		3,187	119,199
		586,158	454,412
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		1,975,984	1,672,947

თანდართული შენიშვნები 8-12 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

ლარი	შენიშვნა	2019 წელი	2018 წელი
შემოსავალი		10,726,191	8,012,634
საქონლის თვითღირებულება		(9,857,097)	(7,326,081)
საერთო მოგება		869,094	686,553
ხელფასის ხარჯი		(396,655)	(325,617)
მივლინებისა და ტრანსპორტირების ხარჯები		(6,085)	(3,555)
საკონსულაციო და სხვა მომსახურების ხარჯები		(16,833)	-
ცვება და ამორტიზაცია		(35,851)	(35,416)
საიჯარო და კომუნალური ხარჯები		(88,004)	(54,901)
საწვავი		(60,118)	(57,123)
გადასახადები		(8,483)	(4,787)
უიმედო ვალები		(31,949)	-
კავშირგაბმულობა		(4,038)	(3,954)
ბანკის ხარჯები		(2,721)	(1,683)
ტრანსპორტირების ხარჯი		(14,746)	-
რემონტის ხარჯები		(31,891)	(29,754)
სხვა ხარჯები		(9,407)	(7,219)
შედეგი საოპერაციო საქმიანობიდან		162,313	162,544
ფინანსური შემოსავალი		10,904	169
პროცენტის ხარჯი	9	(35,897)	(24,995)
ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან		(241)	-
მოგება/ზარალი საკურსო სხვაობიდან		9,212	(741)
მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		146,291	136,977
მოგების გადასახადის ხარჯი		-	(194)
მოგება (ზარალი) წლის განმავლობაში		146,291	136,783

თანდართული შენიშვნები 8-12 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება

ლარი	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული მოგება	სულ
2018 წლის 1 იანვარი	95,700	653,752	749,452
მოგება წლის განმავლობაში	-	136,783	136,783
სრული შემოსავალი წლის განმავლობაში	-	136,783	136,783
კაპიტალის შევსება	343,000	-	343,000
საწესდებო კაპიტალის შემცირება	(5,700)	-	(5,700)
დივიდენდები		(5,000)	(5,000)
ტრანზაქციები მფლობელებთან	337,300	(5,000)	332,300
2018 წლის 31 დეკემბერი	433,000	785,535	1,218,535
მოგება წლის განმავლობაში	-	146,291	146,290
სრული შემოსავალი წლის განმავლობაში	-	146,291	146,290
კაპიტალის შევსება	25,000	-	25,000
დივიდენდები	-	-	-
ტრანზაქციები მფლობელებთან	25,000	-	25,000
2019 წლის 31 დეკემბერი	458,000	931,826	1,389,826

თანდართული შენიშვნები 8-12 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ლარი	შენიშვნა	2019 წელი	2018 წელი
ფული საქონლის რეალიზაციიდან		12,184,526	9,333,684
ფული სხვა საოპერაციო საქმიანობიდან		637,641	23,975
ხელფასი		(307,893)	(253,845)
გადახდილი ავანსები		(3,651,815)	(1,505,037)
საქონლის შეძება		(8,174,861)	(7,498,480)
ფ/პ მომსახურების ანაზღაურება		(12,201)	(13,025)
დაზღვევა		(6,560)	(6,649)
საწვავი		(71,128)	(69,872)
მივლინება		(7,437)	(3,555)
კომუნალურები		(39,698)	(32,044)
რემონტის ხარჯები		(37,091)	(27,711)
კომუნიკაციის ხარჯები		(4,128)	(61,495)
ადმინისტრაციული ხარჯები		(6,443)	(15,999)
გადასახადები		(418,200)	(293,000)
სხვა გადახდები		(2,832)	(2,491)
ბანკის ხარჯები		(1,367)	(18,345)
იჯარა		(61,340)	(3,429)
ფული საოპერაციო საქმიანობიდან		19,173	(447,318)
<u>ფული საინვესტიციო საქმიანობიდან</u>			
ფული გადახდილი ძირ. საშ. შესაძენად		(7,776)	(12,587)
მიღებული ფული გრანტებიდან			
<u>ფული საინვესტიციო საქმიანობიდან</u>		(7,776)	(12,587)
<u>ფული ფინანსური საქმიანობიდან</u>			
კაპიტალის შემცირება		(93,000)	(5,700)
კაპიტალის შევსება		118,384	343,000
სესხის დაფარვა		(300,000)	(200,000)
სესხის მიღება		300,000	300,000
გადახდილი პროცენტი		(35,897)	(24,995)
გადახდილი დივიდენდი			(4,750)
ფული ფინანსური საქმიანობიდან		(10,513)	407,555
<u>ფულადი ნაკადების წმინდა ზრდა / (კლება)</u>		884	(52,350)
ფული საანგარიშო პერიოდის დასაწყისში		15,440	68,720
კურსთა შორის სხვაობა		(1,834)	(930)
<u>ფული საანგარიშო პერიოდის ბოლოს</u>	8	14,490	15,440

თანდართული შენიშვნები 8-12 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები

1 ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია

შპს „სიფუდ გრუპ თელავი“ დაარსდა 2012 წლის 25 იანვარს. მის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს არასპეციალიზებული საბითუმო ვაჭრობა საკვებით, საბითუმო ვაჭრობა თევზით, კიბოსნაირებით და მოლუსკებით, საბითუმო ვაჭრობა რძის პროდუქტებით, საკვები ზეთებით და ცხიმებით, საბითუმო ვაჭრობა ხორცი და ხორცის პროდუქტებით.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია ალექსი იობაშვილი, რომელიც არის საქართველოს მოქალაქე და აგრეთვე კომპანიის მოქმედი დირექტორი.

კომპანიის იურიდიული და ფაქტური მისამართია : საქართველო, ქ.თელავი, სოფ.კისისხევი.

2 შედგენის საფუძველი

2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზის (ბასს) მიერ გამოქვეყნებული მცირე და საშუალო ზომის საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

2.2 მომზადების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით.

2.3 საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან იგი ყველაზე უკეთ ასახავს კომპანიის ოპერაციებისა და კომპანიის სამოქმედო გარემოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენების შინაარსს.

მოცემული ფინანსური ანგარიშგებები წარმოდგენილია ლარში. ყველა ფინანსური მონაცემი წარმოდგენილი ლარებში დამრგვალებულია უახლოეს ლარამდე.

3 ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკები

3.1 უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნებისათვის, საანგარიშგებო ვალუტისაგან (ლარი) განსხვავებულ, უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით, რომელიც 2019 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 2.8677 ლარს და ერთი ევროსათვის შეადგენს 3.2095 (2018 წლის 31 დეკემბრისთვის ერთი ამერიკული დოლარი შეადგენს 2.6766 ლარს, ერთი ევრო 3.0701 ლარს). არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლო კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ოპერაციის განხორციელების დღის კურსით), გარდა რეალური ღირებულებით წარდგენილი არაფულადი მუხლებისა, რომლებიც ლარში გადაყვანილია მათი რეალური ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით.

საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

3.2 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალება აღიარდება ისტორიულ ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების მთელ პერიოდზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით, ქვემოთ მოცემულია აქტივების სასარგებლო გამოყენების ვადები:

შენობა ნაგებობები - 30 წელი;

სატრანსპორტო საშუალებები 8 -15 წელი;

მანქანა დანადგარები 7-18 წელი;

კომპიუტერები და ელ.ტექნიკა 2-12 წელი;

ავეჯი და ინვენტარი 3-15 წელი;

არამატერიალური აქტივები-კომპიუტერული პროგრამები 5-12 წელი.

3.3 სასაქონლო მატერიალური მარაგები

მარაგი ისეთი აქტივებია, რომელიც გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში ან წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომელიც განკუთვნილია საწარმოო მოხმარებისთვის ან მომსახურების გასაწევად. ელემენტები, როგორიცაა მანქანა-დანადგარების სათადარიგო ნაწილები, აგრეთვე აღიარდება სასაქონლო მატერიალურ მარაგად, მანამ სანამ, არ დააკმაყოფილებს ძირითადი საშუალების განმარტებას.

სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან, ადგილზე მიტანასთან, გადამუშავებასთან და მის იმ მდგომარეობამდე მიყვანასთან, როგორშიც ის იმყოფება.

ორგანიზაციის ძირითად სასაქონლო მატერიალურ მარაგებს წარმოადგენს შემდეგი დასახელების საქონელი:

- ქათმის ასორტი;
- თევზის ასორტი;
- კარაქების და სპრედების ასორტი;
- ხორცის ასორტი;
- ნახევარფაბრიკატები;
- სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგები.

3.4 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები ფასდება გარიგების ფასით, გარიგების დანახარჯების ჩათვლით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო მოთხოვნები გადანაგრიშდება ლარში, საანგარიშგებო თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

3.5 გადახდილი და მიღებული ავანსები

გადახდილი და მიღებული ავანსები აღიარდება გადახდილი/მიღებული თანხის ოდენობით გადახდის/მიღების მომენტში. ავანსების გადაფასება არ ხდება სავალუტო კურსის მიხედვით და რჩება შეფასებული ისტორიული ღირებულებით.

გადახდილი ავანსების გაუფასურებაზე ტესტირება ხდება ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს და თუ არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ გადახდილი ავანსის შესაბამის საქონელს ან მომსახურებას კომპანია ვერ მიიღებს და თანხის უკან დაბრუნებაც შეუძლებელი იქნება, მაშინ გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

3.6 ფული და ფულადი ექვივალენტები

ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე მოიცავს ნაღდ ფულს სალაროში, ფულს საბანკო ანგარიშებზე და ფულს გზაში.

3.7 კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია მფლობელის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე. საწესდებო კაპიტალი სრულად შევსებულია ფულადი სახით.

დაგროვილი მოგება შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების გაუნაწილებელ მოგებას ან აკუმულირებულ ზარალს

დივიდენდები ვალდებულებად აღიარდება იმ პერიოდში, რომელშიც გამოცხადდება.

3.8 მოგების გადასახადი

მიმდინარე გადასახადი არის მოსალოდნელი საგადასახადო ვალდებულება/(ჩათვლა) დასაბეგრ წლიურ შემოსავალზე, ანგარიშგების თარიღისთვის ან მანამდე არსებული საპროცენტო განაკვეთით და გასული წლის საგადასახადო ვალდებულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი კორექტირებით.

ცვლილებები მოგების გადასახადში, რომელიც ძალაშია 2017 წლის 1 იანვრიდან

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომელიც დაკავშირებულია მოგების გადასახადის ახალ მოდელთან.

ახალი მოდელის ("მოგების გადასახადის ესტონური მოდელი") მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება, მაშინ როცა ძველი მოდელის მიხედვით კომპანიის მოგება იბეგრებოდა 15%-ით, მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად, თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იბეგრებიან მოგების გადასახადით, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახადით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები, რომელიც განიხილება მოგების განაწილებად (საჩუქარი, გადახდები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა).

მოგების გადასახადი, რომელიც წარმოიშობა მოგების დივიდენდების სახით განაწილებისას ხარჯად აღიარდება დივიდენდების გამოცხადების პერიოდში, მიუხედავად დივიდენდების ფაქტობრივი გადახდის თარიღისა. ამ შემთხვევაში მოგების განაწილება იბეგრება 15/85 პროპორციით.

აღნიშნული ცვლილების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებში ფინანსური და საგადასახადო ბაზის საფუძველზე. შესაბამისად გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება, როგორც განსაზღვრულია ბასს 12 მოგებიდან გადასახადებით არ წარმოიქმნება 2017 წლის 1 იანვრიდან.

3.9 შემოსავლის აღიარება

კომპანიის შემოსავალი ძირითადად წარმოიქმნება საქონლის რეალიზაციიდან.

შემოსავალი აღიარდება საქონლის მიწოდებისას, როდესაც კლიენტი ადასტურებს საქონლის მიღებას. შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების თანხით.

4 ძირითადი საშუალებები

ლარი	შენიშნა- მიწა	შენიშნა- ნაგებობები	ავეჯი და ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები, მანქანა- დანადგარები სხვა	სულ
ღირებულება					
2018 წ. 1 იანვარი	44,930	209,485	5,055	322,836	582,306
შემოსვლა	-	-	-	12,268	12,268
გასვლა	-	-	-	-	-
2018 წ. 31 დეკემბერი	44,930	209,485	5,055	335,104	594,574
შემოსვლა	-	-	1,856	6,969	8,825
გასვლა	-	-	-	-	-
2019 წ. 31 დეკემბერი	44,930	209,485	6,911	342,073	603,399
დაგროვილი ცვეთა					
2018 წ. 1 იანვარი	-	1,275	903	87,079	89,257
წლის ცვეთა	-	6,892	509	27,161	34,562
გასვლის შედეგად კორექტირება	-	-	-	-	-
2018 წ. 31 დეკემბერი	-	8,167	1,412	114,240	123,819
წლის ცვეთა	-	6,983	528	27,940	35,451
2019 წ. 31 დეკემბერი	-	15,150	1,940	142,180	159,270
საბალანსო ღირებულება					
2018 წ. 31 დეკემბერი	44,930	201,318	3,643	220,864	470,755
2019 წ. 31 დეკემბერი	44,930	194,335	4,971	199,893	444,130

5 არამატერიალური აქტივები

ლარი	არამატერიალური აქტივები
ღირებულება	
2018 წ. 1 იანვარი	6,969
გასვლა	(836)
2018 წ. 31 დეკემბერი	6,133
შემოსვლა	-
2019 წ. 31 დეკემბერი	6,133
დაგროვილი ცვეთა	
2018 წ. 1 იანვარი	2,976
წლის ცვეთა	458
გასვლის შედეგად კორექტირება	(441)
2018 წ. 31 დეკემბერი	3,829
წლის ცვეთა	400
2019 წ. 31 დეკემბერი	4,229
საბალანსო ღირებულება	
2018 წ. 31 დეკემბერი	3,140
2019 წ. 31 დეკემბერი	2,740

6 სავაჭრო მოთხოვნები

ბალანსში ასახული მთლიანი მოთხოვნის თანხა წარმოშობილია მომხმარებლების მიერ საქონლის შეძენის შედეგად. ყველა მოთხოვნა მოკლევადიანია და დენომინირებულია ლარში. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მოთხოვნები სრულად ამოღებადი და ამდენად არ არის საჭირო საექვო ვალეების რეზერვის შექმნა.

მოთხოვნების ამოღების საშუალო პერიოდი არის 12 თვე.

7 გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები მოიცავს ძირითადად სასაქონლო-მატერიალური ფასულობებისთვის მომწოდებლებზე გადახდილ ავანსებს, რომელიც შეთანხმებების საფუძველზე ექვემდებარებოდა საქონლის მოწოდებამდე გადახდას. გადახდილი ავანსის სანაცვლოდ მისაღები სასაქონლო-მატერიალური მარაგების პერიოდი არის მაქსიმუმ 12 თვე.

8 ფული და ფულადი ექვივალენტები

აღწერა	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
ნაღდი ფული	626	15,378
ფული ბანკში	13,864	62
სულ:	14,490	15,440

9 მოკლევადიანი სესხები

კომპანიის სესხები დენომინირებულია ლარში, მოკლევადიანია და მათი დაფარვის თარიღია 2020 წლის 31 ოქტომბერი. სესხზე მოქმედებს ცვალებადი საპროცენტო განაკვეთი, კერძოდ რეფინანსირების განაკვეთს დამატებული ბანკის საპროცენტო განაკვეთი წლიური 5%, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში არანაკლებ 11%-სა. წლის განმავლობაში კომპანიის სესხებზე მოქმედი საშუალო წლიური საპროცენტო განაკვეთი იყო 12%.

სესხების ნაშთებში მოძრაობის დეტალები წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

თანხები ნაჩვენებია ლარში		
მოძრაობა სესხების ნაშთებში	2019 წელი	2018 წელი
ნაშთი წლის დასაწყისში	300,000	200,000
პლუს:		
ახალი სესხის აღება	300,000	300,000
პროცენტის დარიცხვა	35,897	24,995
ზარალი კურსთაშოორის სხვაობიდან		
მინუს:		
სესხის ძირის დაფარვა	300,000	200,000
სესხის პროცენტის დაფარვა	35,897	24,995
ნაშთი წლის ბოლოს	300,000	300,000

Act on completion of services

September 29, 2020

This act is signed between "Grant Thornton" LLC, ID 200136600, hereafter referred to as the "Contractor", represented by Mr. Vakhtang Tsabadze, Director, and Seafood Group Telavi LLC, ID 431167364, hereafter referred to as the "Client", represented by Mr. Alex Iobashvili, Director, both hereafter referred to as the "Parties", and witnesses that according Contract #AUD-845, the "Contractor" has provided and the "Client" has accepted Compilation Services for 2019 FY, for a total value of 4,720.00 GEL. The "Parties" do not have any claims to each other.

მიღება – ჩაბარების აქტი

29 სექტემბერი, 2020

შპს "გრანტ თორნტონ", ს/კ 200136600, შემდგომში "კონტრაქტორად" წოდებული, წარმოდგენილი მისი დირექტორის ვახტანგ ცაბაძის სახით ერთი მხრივ და მეორეს მხრივ შპს სიფუდ გრუპ თელავი ს/კ 431167364 წარმოდგენილი მისი დირექტორის ალექსი იობაშვილის სახით, შემდგომში "კლიენტად" წოდებული, შემდგომში ორივე "მხარეებად" წოდებულნი ვადგენთ ამ აქტს მასზედ, რომ კონტრაქტი № AUD-845 თანახმად, "კონტრაქტორმა" შეასრულა ხოლო "კლიენტმა" მიიღო 2019 წლის ფინანსური ანგარიშგების (კომპილაცია) მომსახურება ღირებულებით 4,720.00 ლარი. მხარეებს ერთმანეთის მიმართ პრეტენზიები არ გააჩნიათ.

On behalf of the Client
კლიენტის ხელმოწერა

Alex Iobashvili
ალექსი იობაშვილი
Director / დირექტორი



On behalf of the Contractor
კონტრაქტორის ხელმოწერა

Vakhtang Tsabadze
ვახტანგ ცაბაძე
Director / დირექტორი

